



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 3 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №112/21
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 21 სექტემბრის №112 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 24 სექტემბრის №449/112-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით, სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმის სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კერძოდ სადავო უძრავი ქონების ფართები მოსამართლემ არასწორად მიუთითა;

1.2. ასევე, საჩივარში მითითებულია, რომ მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მათ მიერ იყო წარდგენილი და არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა აღნიშნულ საქმესთან მიმართებაში, რომელიც ასევე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა მხარეს;

1.3. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მესამე პირად ჩართო პირები, რომლებზეც მის მიერ გამოყენებული კანონი არ ვრცელდება;

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ მისცა მათ შესაძლებლობა აზრი გამოეხატათ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით;

1.5. ასევე, სხდომის მიმდინარეობისას მოსამართლემ წინასწარ გაამჟღავნა პოზიცია და მიმართა მხარეს „თუ არ დამთანხმდებით, მაშინ გადაწყვეტილებას არ მივიღებ“.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2020 წლის 10 მარტს --- სასამართლოს --- სარჩელით მიმართა ---, რითაც ითხოვდა სსიპ --- 2020 წლის 7 თებერვლის №-- გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და სსიპ --- ახალი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, რომლითაც უძრავი ქონება, მდებარე: -- -- დარეგისტრირდებოდა -- -- სახელზე.

-- -- სასამართლოს -- -- 2020 წლის -- -- გადაწყვეტილებით მოსარჩელე -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება 2020 წლის -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გაასაჩივრა -- --. -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის -- -- გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს -- -- 2020 წლის -- -- გადაწყვეტილება.

2021 წლის -- -- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის -- -- გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის N^oდს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო საქმის სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, კერძოდ სადაო უძრავი ქონების ფართები მოსამართლემ არასწორად მიუთითა; ასევე რომ მოსამართლემ რეაგირება არ მოახდინა იმ მტკიცებულებებზე, რომლებიც მათ მიერ იყო წარმოდგენილი და არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს არსებული პრაქტიკა საქმესთან მიმართებაში, რომელიც ასევე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ჰქონდა მხარეს და მესამე პირად ჩართო პირები, რომლებზეც მის მიერ გამოყენებული კანონი არ ვრცელდება.

-- -- სასამართლოს -- -- 2020 წლის -- -- განჩინებით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირებად ჩაბმულ იქნენ -- --, მოპასუხის სსიპ -- -- შუამდგომლობის საფუძველზე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მთავარი სხდომის დამთავრებამდე სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად. უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების საქმისათვის მნიშვნელობას და მესამე პირების სასამართლო პროცესში ჩართვას განსაზღვრავს მხოლოდ მოსამართლე. შესაბამისად, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 21 სექტემბრის №112 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1, 1.2 და 1.3 პუნქტები).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №112 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.4 და 1.5 პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი